პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 118 (12630) | სამშაბათი, 21 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

გადამწყვეტ დღეებში...

ეს დღეები კაპროლაქტამის მშენებლობაზე

ყოველდღიურად სასიხარულო ცნობები მოდის კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობიდან. მემონტაჟეები, მშენებლები, ქიმიკოსები იძლევიან პატაკებს:

— 973-ა კორპუსზე დამთავრდა აიროვანი ამოაკის ნასხლეტის ხაზის მონტაჟი და გამოცდა!

— 974 კორპუსზე უკვე გადაწყდა რგოლებით სარეცხი კოშკურის ჩატვირთვის პრობლემა!

— 975 კორპუსზე წარმატებით ჩაიარა ტუმბოების კომპლექსურმა გამოცდამ!

მიუხედავად ამისა, კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაზე კვლავ გადასაწყვეტია მრავალი საკითხი. აქედან ერთ-ერთის ამოაკური წყლის მიღება წარმოადგენს. მშენებელ-მემონტაჟეთა დაპირებით 24 მაისისათვის უნდა დამთავრდეს ყველა სამუშაო, მაშასადამე, მწყობრში ჩადგება კიდევ ერთი ობიექტი!

კიდევ რა არის მშენებელ-მემონტაჟეთა და ქიმიკოსთა უახლოესი დღეების მთავარი და გადაუდებელი ამოცანა?

ამ კითხვაზე აზოტოვანი სასუქების ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ი. გრძელიძემ გვიპასუხა:

— ახლა მთავარი ის არის, რომ პირველი ივნისისათვის მწყობრში ჩავაყენოთ ამონიუმის ბისულფიტის საამქროს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ მივიღოთ ამონიუმის ბისულფიტის პირველი პროდუქცია.

დღის წესრიგში დგას კაპროლაქტამ-ნედლეულის საამქროს დამთავრება. აქ ერთხელ კიდევ შეადგინეს დარჩენილი სამუშაოებისა და არსებული ხარვეზების სია. სამწუხაროდ, ეს დეფექტები ძალიან ბევრია. ამიტომ მშენებელ-მემონტაჟეებმა მთელი ყურადღება ახლა მათ სასწრაფოდ გამოსწორებაზე უნდა გადაიტანონ. როგორც ვიუწყებოდით, მიღებულია პირველი პროდუქცია — ანილი. ამჟერად მემონტაჟეები და ქიმიკოსები საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებენ ამ პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის და როცა მიღებულ იქნება სასურველი შედეგები, ამის შემდეგ ქიმიკოსები დაიწყებენ მისი მომდევნო პროდუქციის — ანონის მიღებას. ანონისა და ამონიუმის ბისულფიტის მიღება, როგორც ჩანს, ერთდროულად მოხდება. ეს კი საბოლოო სანერგიანი შეტანის გაკეთებას მივიღოთ ამონიუმის ბისულფიტი — ქართველ, კაპროლაქტამი ეს დღე [illegible]

შაბათს, 18 მაისს კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიურომ ამხ. გ. ა. **ბეგშიძის** ხელმძღვანელობით გამართა მორიგი ოპერატიული თათბირი.

თათბირმა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. **ლაბახუა**, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ნ. **გომელაური**, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგე გ. **ვაშაკიძე**, საქართველოს კპ რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. **მენთეშაშვილი** და სხვები, დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მშენებელ-მემონტაჟეთა ამ კვირის გადაუდებელი ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად და დაამტკიცა ახალი კვირეული განრიგი.

ზ. მერკვილაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

წარმოება და კომუნისტი

კომუნისტებო, წინ! — ასე მიმართავდა პარტია თავის წევრებს ყოველთვის, როცა საბჭოთა სამშობლოს წინაშე დიდი, რთული ამოცანები ისახებოდა, და ხალხის მასები უნდა დაგვერაზმა საშვილიშვილო საქმეებისათვის საბრძოლველად. და კომუნისტებიც — პარტიის ერთგული შვილები — ყველგან და ყველფერში უჩვენებდნენ თავის სიმტკიცეს, ერთგულებას, ცოდნასა და უნარს იბრძოლონ და გაიმარჯვონ ნათელი მიზნისათვის ბრძოლაში.

ახლა ახლაც — კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მოწინავე პოზიციებსა და ძნელ უბნებზე კომუნისტები არიან. კომუნისტებისაგან მეტს მოითხოვენ, და ისინიც ამართლებენ ამ ნდობას, თამამად იღებენ თავიანთ მხრებზე ყველაზე რთულ საქმეებს და ახორციელებენ ყველაზე დიდ გეგმებს, ყველაზე გბედულ წამოწყებებს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ კომუნისტთა სამი მეოთხედი უშუალოდ მუშაობს იქ, სადაც იქმნება მატერიალური ფასეულობანი. მათი დიდი უმრავლესობა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით იკიდებს დაკისრებულ საქმეებს, პირადი მაგალითით აღფრთოვანებს უპარტიო მასებს შემოქმედებითი შრომისათვის.

მშრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ახალ აღმავლობას ხელი შეუწყო ხკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება პარტიული ორგანოების სტრუქტურის საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნის შესახებ.

ამ გარდაქმნიდან უკვე ოთხი თვე გავიდა და შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ პარტიის ამ ბრძნული ნაბიჯს, რომელიც მიმართულია საბჭოთა ხალხის აყვავებისა და ძალების აქტივიზაციისა და მისი ყველა წევრის შემოქმედებითი ცხოვრების ამაღლებისაკენ, სასურველი შედეგი მოსდევს. ჩვენი რესპუბლიკის მთელი რიგი პარტიული კომიტეტების მიერ მოკლე ხანში გაწეული მუშაობა გვიჩვენებს, რომ პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნამ პარტიულ კომიტეტებს შესაძლებლობა მისცა მთავარი ყურადღება მიაქციონ მატერიალურ წარმოებას, გაიაღონ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.

სასიხარულოა, რომ კომუნისტებს პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა ესმით როგორც თავიანთი მუშაობის გარდაქმნა, როგორც პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება ადგილებზე საქმის მდგომარეობისათვის. ამასთან ისინი არა მარტო პირად მაგალითს უჩვენებენ, არამედ მუდმივად ეხმარებიან ამხანაგებს, აძლევენ რჩევას და ასწავლიან შრომის საუკეთესო ხერხებს.

ბეშმარიტად ამაყობს ქართველ მეტალურგთა ქალაქი — რუსთავი თავისი კომუნისტებით, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან. მაგრამ, როგორც მჯობის მჯობი არ დაილევა, კომუნისტთა შორისაც არიან ყველაზე საუკეთესონი, რომლებიც შრომაშიც მოწინავენი არიან, აქტიურობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და სანიმუშო მაგალითს იძლევიან ყოფაცხოვრებაშიც.

აქ დიდი პატივისცემით ლაპარაკობენ მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს საბოლოვე ეზოს უბნის უფროსზე კომუნისტ ს. სიხარულიძეზე, რომლის უბანმა პირველმა მოიხვეჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. ს. სიხარულიძე 60-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მან შარშან მიიღო საავტორო უფლება მარტენის ცეცხლგამძლე ამონაგის წიდით შეცვლის თეორიის შემუშავებისათვის, რაც პირველია მსოფლიოში. მესამე წელია ს. სიხარულიძის უბანმა უარი თქვა ტექნიკური კონტროლის განყოფილების მომსახურებაზე და უწუნოდ მუშაობს. მაგრამ აქ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. უკვე რამდენიმე თვეა ბრიგადა ხელფასს მხოლოდ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და თვითღირებულებას შემცირების შედეგად მიღებული დანაზოგიდან იღებს.

მშობლიური ქალაქის — რუსთავის ფარგლებს გასცდა იმ კომუნისტური შრომის ბრიგადების სახელი, რომლებსაც კომუნისტები ა. ფანცულაია, ნ. კურატაშვილი, ი. ტაბატაძე, ზ. ყაველაშვილი, გ. ბერეკაშვილი ხელმძღვანელობენ.

გურჯაანის საწარმოო სამმართველოში არის სოფელი ქოდალო, რომლის კოლმეურნეობა ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი სახოფლო-სამეურნეო არტელი იყო რაიონში. მაგრამ თუ ახლა საზოგადოებრივი მეურნეობა განუხრელი აღმავლობის გზაზეა, ეს უპირველეს ყოვლისა ამ სახოფლო-სამეურნეო არტელის კომუნისტთა მეოხებით მოხდა. მათი ინიციატივით შეიცვალა ნათესების სტრუქტურა, გაძლიერდა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და განმტკიცდა შრომის დისციპლინა, უკეთ მოეწყო მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა. კომუნისტები წარმოების ავანგარდშიც არიან. პირველობას არავის უთმობენ ვ. კვეზერელის, გ. ჩოკოშვილის, შ. კვეზერელის ბრიგადები, აგრეთვე კოლმეურნე კომუნისტები ა. პიტიურიშვილი, ზ. გოდერიძე, ს. პიტიურიშვილი, ვ. არსენაშვილი.

ქოდალოელმა კომუნისტებმა გადაწყვიტეს წარმატებით აიღონ შვიდწლედის მეხუთე წლის ყველა მიჯნა. ამ მიზნით ისინი სათავეში უდგანან შრომელთა აქტივობას, ყველა სახოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროზე და მაღალი აგროტექნიკით ასრულებენ.

ახლით მაგალითები ასობით შეიძლება მოვიყვანოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში არის ისეთი ფაქტებიც, როცა ცალკეულ კოლექტივებსა და კომუნისტებს სათანადო წვლილი არ შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, სხვის ხარჯზე ცხოვრობენ, ეფარებიან საწარმოს, საზოგადოებრივი მეურნეობის, რაიონის, ქალაქის საშუალო მაჩვენებლებს.

ვერ იქნა და აღმავლობის გზას ვერ დაადგა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშის მეუნარგიას სახელობის კოლმეურნეობა. აქ წლითიწლობით სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაბალ მოსავალს იღებენ, მცირეა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, არ სრულდება სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის დავალებები, მაღალია პროდუქციის თვითღირებულება.

ამ სასოფლო-სამეურნეო არტელში ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა, რომ საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია სათავეში ედგეს მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას, კომუნისტები მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ საქმის მდგომარეობისათვის. კოლმეურნეობის ცხრა საწარმოო ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ, მათგან შარშან რვამ ვერ შეასრულა ჩაისა და სიმინდის მოსავლიანობის გეგმები. აქ ადგილი აქვს ფორმალიზმს სოციალისტურ შეჯიბრებაში, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

მომდინარე ეტაპზე, როცა პარტია წყვეტს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის უდიდეს ამოცანებს, პარტიული ორგანიზაციების პირველი რიგის ამოცანაა მიაღწიონ იმას, რომ ყოველი კომუნისტი თავისი მოქმედებით ამაღლებდეს პარტიის ავტორიტეტს, იყოს მისი აქტიური მშენებელი. თვითეული პარტორგანიზაციის მოვალეობაა ღრმად ჩაჰწვდეს წარმოების საქმეებს, ეამაღლოს კადრების პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი საქმისადმი. საჭიროა ყოველდღიურად ვასწავლიდეთ ადამიანებს პრაქტიკულ მუშაობას, დროზე ვახდენდეთ ზეგავლენას ამაზე, როშლებიც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ პირდაპირ მოვალეობას. პარტიული ორგანიზაციები ყოველ მუშაკში უნდა ზრდიდნენ მაღალ პასუხისმგებლობას.

პარტორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული პარტიული ძალების სწორად განაწილებაზე. საჭიროა კომუნისტები მუშაობდნენ წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, უშუალოდ იქ, სადაც წყდება დავალებათა შესრულების ბედი. მაგრამ კომუნისტისათვის ცოტაა მარტო თვითონ მუშაობდეს კარგად, მან პირადი მაგალითით უნდა გაიყოლოს უპარტიოები.

წარმოებაში კომუნისტთა ავანგარდული როლის საკითხი ზშირად უნდა იდგეს პარტიული კრებების დღის წესრიგში, მას უნდა განვიხილავდეთ პოლიტიკური სკოლებისა და წრეების მეცადინეობებზე. საჭიროა ამ მხრივ ფართოდ გამოვიყენოთ თვალსაჩინო აგიტაცია, პროპა, რადიო და ტელევიზია.

ამისათვის, რომ ყოველთვის იდგეს ამოცანათა დონეზე, კომუნისტი მუდმივად უნდა სწავლობდეს, დაუღალავად მუშაობდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დასაუფლებლად, განუხრელად იცავდეს პარტიის წესდებას, იყოს კრისტალურად სუფთა პარტიისა და ხალხის წინაშე, მთლიანად ამჰარდეს თავის ცოდნას, უნარსა და გამოცდილებას კომუნიზმის მშენებლობას.

შრომაშია ბედნიერება. ამიტომ შრომა კომუნისტისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია. მაგრამ ამასთანავე თვითეული კომუნისტი აქტივობას უნდა იჩენდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხანიმუშო იყოს შინ და გარეთ, არ ერიდებოდეს სიძნელეებს.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს შვიდწლედის მეხუთე წელს მნიშვნელოვანი ზლუდეები აქვთ ასაღები. თვითეული პარტორგანიზაციის, ყოველი კომუნისტის მოვალეობაა იდგეს შვიდწლედისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე, ალაფრთოვანოს და გაიყოლიოს მშრომელთა ფართო მასები კომუნიზმის დიადი საქმისათვის ბრძოლაში.

ფიდელ კასტრო — კიევის სტუმარი

მოსკოვი, 20 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს დილით კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ამხანაგი ფიდელ კასტრო რუსი მოსკოვიდან საბჭოთა უკრაინის დედაქალაქ კიევს გაემგზავრა.

ვნუკოვოს აეროდრომზე კუბის რევოლუციის ბელადი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ნ. კოსიგინმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. ა. სკაჩკოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ე. სემიჩასტნიმ, აგრეთვე სხვა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა.

ფიდელ კასტრო გულთბილად გამოეთხოვა გამცილებლებს, საპარადო კიბით ავიდა „ილ-18“ თვითმფრინავზე და მიესალმა გამცილებლებს. მას ბედნიერი გზა უსურვეს. „მალე შეხვედრამდე!“ — გაისმა შეძახილები.

ფიდელ კასტროს — „ანონის“ ...

[illegible] ... ანონის ... ანონის ... ანონის

პარტიული ცხოვრება

შრომაში იჭედება დიდი მეგობრობა

ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის არც ისე დიდ კოლექტივში ოცამდე სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია. საქართველების მხარდამხარ აქ წლების მანძილზე შრომობენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ბერძნები...

ამ მრავალეროვანი კოლექტივის თვითეულ წევრს თავისი პატრიოტული წვლილი შეაქვს ქვეყნის მრეწველობის აღაჩქრებული პროგრამის განხორციელებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია დიდ და მრავალმხრივ მუშაობას ეწევა კოლექტივის ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეების პროპაგანდას აქ ყოველდღიური, თანმიმდევრული და მიზანსწრაფული ხასიათი აქვს. ლექტორებს, პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს მოპყავთ იმის მკაფიო, პრაქტიკული მაგალითები, თუ როგორ ეხმარებიან მუმე რესპუბლიკების საწარმოთა კოლექტივები ქუთაისელ ქიმიკოსებს, და რომ თავის მხრივ არც ქარხნის კოლექტივი რჩება ვალში — ძვირფას ქიმიურ პროდუქციას გზავნის ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეში.

პარტიული ორგანიზაცია კარგად ითვალისწინებს, რომ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას. სკკპ ისტორიის შემსწავლელ წრეებსა და თეორიულ სემინარებში, რომლებიც ქართულ და რუსულ ენებზე მეცადინეობენ, ქარხანაში მომუშავე ყველა ეროვნების წარმომადგენლები არიან გაერთიანებული. გარდა ამისა, ათობით კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას.

ქარხნის საამქროებში, განყოფილებებსა და უბნებში პოლიტიკური აგიტაცია ეწყობა კოლექტივის ეროვნული შემადგენლობის გათვალისწინებით. არაქართველ მუშათა შორის ყოველდღიურ და საინტერესო საუბრებს მართავენ აგიტატორები — ლიტოპონის საამქროს მეგობრობის დროშით გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

აი უკვე ათ წელზე მეტია ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული ლენინგრადის ქარხანა „ვიდვიეუენეცის“ კოლექტივთან. მშრომელთა დელეგაციების გაცვლა, გულთბილი მიწერ-მოწერა, მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარება ეხმარება მეგობრული შეჯიბრების მონაწილეებს იმაში, რომ ახალი შრომითი გამარჯვებები მოიპოვონ შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

მეგობრულ, შრომისმოყვარე კოლექტივში აღიზარდნენ და დაწინაურდნენ სულ სხვადასხვა ეროვნების მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები, რომლებსაც ახლა ქარხანაში ხელმძღვანელი პოსტები უჭირავთ. ქარხნის მომრაგების განყოფილების უფროსია საბჭოთა კავშირის გმირი, უკრაინელი ივანე დუპლი, ლაქსადებავების საამქროს უფროსი — რუსი ანატოლ ბოსნიაკოვი, შაბიამნის საამქროს უფროსი — ბერძენი გერმანე ანასტასიადი...

ახლახან მექანიკური საამქროს უფროსის მოადგილედ დაწინაურეს ამავე საამქროს ოსტატი რუსი მ. ბერეზნო, სარემონტო-სამშენებლო საამქროს სამუშაოთა მწარმოებლად — ოსი ი. კობულოვი, ხოლო ქარხნის დისპეტჩერად — უკრაინელი ი. კულიკი.

ჩვიდმეტი წლის წინათ მოვიდა ქარხანაში სამუშაოდ რუსი გოგონა ზინა ზავალიშინა. იგი აქ აღიზარდა, დაოსტატდა და კიდევაც დაქორწინდა. ქართველი ქიმიკოსები დაეხმარენ მას მეპარატის პროფესიის ათვისებაში. ახლა ზინა მთელ ქარხანაში ცნობილი მოწინავე მეპარატე და კომუნისტური შრომის დამკვრელია, იგი თვითონ ასწავლის თანამოსაქმეებს. ამას წინათ ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინა — მისი წინადადებით ლიტოპონის საამქროს გამოსაწვავი ღუმელების ყველა მეპარატე სწავლობს მეორე პროფესიას — საშრობი აპარატის მართვას. ეს ეხმარება საამქროს მთელ კოლექტივს ზუსტად დაიცვას ლიტოპონის შრომისა და გამოწვის ტექნოლოგიური რეჟიმი, მოაწყოს ოპერაციათაშორისი კონტროლი და უზრუნველყოს გრაფიკის ზუსტად შესრულება.

ასე მტკიცე და კეთილმყოფელია შრომაში დაბადებული მეგობრობა.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია, სათავეში უდგას რა კოლექტივის აქტივობას, თვითეულ მის წევრს ზრდის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პარტიული ორგანიზაცია და ინტერნაციონალური აღზრდა

პარატეები გ. სიკორსკი და ლ. ხახულინა, მექანიკური საამქროს ხარატი, ქარხნის პარტბიუროს წევრი ვ. პოპოვი, დისპეტჩერი ი. კულიკი, ბუხალტერი ნ. დუდნიკი და სხვები.

ქიმიკოსებისათვის ხშირად იკითხება ლექციები პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის საკითხებზე. აი ამ უკანასკნელად წაკითხული ლექციების თემები: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი სსრ კავშირში“, „ხალხთა მეგობრობა საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროა“, „სკკპ პროგრამა — თანამედროვე ეპოქის კომუნისტური მანიფესტი“, „ძმობა და მეგობრობა კომუნისტურ შრომაში“.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის სამსახურშია ჩაყენებული თვალსაჩინო აგიტაციის მოელი არსენალი — ლოზუნგები, პლაკატები, ფოტოსტენდები, სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავეთა სპატიო დფები, აგრეთვე კედლის გაზეთები. საქარხნო კედლის გაზეთი, აგრეთვე სატრულ-იუმორისტული ანალგაზრდული გაზეთი აქ ქართულ და რუსულ ენებზე გამოდის.

დიდი პოპულარობით სარგებლობს მეგობრობის საღამოები, რომლებზეც ქარხანაში მომუშავე სხვადასხვა ეროვნებისა და პროფესიის ადამიანები სულით და გულით ლაპარაკობენ თავიანთ მუშაობაზე, მტკიცე მეგობრობაზე, ურთიერთდახმარებაზე. როგორც წესი, ყოველ ასეთ საღამოს წინ უძღვის ლექცია ხალხთა მეგობრობის თემაზე, ხოლო დასასრულ იმართება კონცერტი. ქარხნის თვითმომქმედი კოლექტივების მონაწილეობით.

ქარხანაში კი არა, მთელ ქალაქშია ცნობილი მელიტოპონეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „მეგობრობა“, აგრეთვე რუსულ ხალხურ საკრავთა ანსამბლი.

საშობლოს საკეთილდღეო შრომაში კიდევ უფრო იზრდება, მაღლდება მრავალეროვანი კოლექტივის პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა, რაშიაც დიდ როლს ასრულებს ხალხთა ლენინური მეგობრობის ინტერნაციონალური ბუნება.

ამ ბოლო დროს ქარხანა „ელექტროავტომატი“ შვიდწლედის პირმშოა. მის კოლექტივში ძირითადად ახალგაზრდები არიან. მათი დიდი უმრავლესობა საშუალო განათლებით არის. ბევრი მათგანი მაღალნაყოფიერ შრომასთან კარგად ათავსებს სწავლას და ინსტიტუტში ეუფლება უმაღლეს განათლებას. პირველ სურათზე თქვენ ხედავთ წარმოების მოწინავე ამწყობ ზეინკლებს ო. სანიკიძეს და ზ. ზოზიაშვილს, რომლებიც დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებენ. ასეთი მოწინავე ადამიანი აქ სხვაც ბევრია. სწორედ ამიტომ არის, რომ წარმოებამ ოთხი თვის გეგმის გადამეტებით 2.316 ცალი ელექტროავტომატი გამოუშვა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შექმნილია სპეციალური საკავშირო სასწავლო-საწარმოო საამქრო. მეორე სურათზე აღბეჭდილი არიან ზესტაფონის № 1 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელები მ. პაპაშვილი და ც. მეგრელიშვილი, ლითონდასამუშავებელ ჩარხზე მუშაობის დროს.

ფოტო ი. მღებრიშვილისა და გ. გერსამიასი.
(საკედესის ფოტოქრონიკა).





საკვების ახალი რეგერვი

• მეცნიერება და პრაქტიკა •

საქართველოს სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის განყოფილებამ სამი წლის განმავლობაში ცხოველთა საკვებად წარმოების სხვადასხვა ანარჩენების გამოყენების საკითხი შეისწავლა.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული რაიონები, განსაკუთრებით კი აჭარის ასს რესპუბლიკის და მახარაძის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობანი განიცდიან ცხოველთა უხეში საკვების დიდ ნაკლებობას. ამისათვის განზრახული იყო სხვა დანარჩენ ანარჩენებთან ერთად კოფეინის წარმოების ანარჩენის — ელექტროგირებული ჩაის ფოთლის შესწავლა.

ბათუმში აშენებულია კოფეინის ქარხანა, რომელიც იღებს მედიკამენტოზურ პრეპარატ „კოფეინს“ ჩაის უხეში ფოთლებისა და ღეროებისაგან. მიმდინარე წელს ქარხანამ უნდა გადამუშაოს რამდენიმე ათასი ტონა მშრალი საკოფეინე მასალა. პერსპექტიული სიმძლავრის დროს კი განზრახულია გაცილებით მეტი მშრალი მასის გადამუშავება, საიდანაც მიღებული იქნება დიდძალი ანარჩენი.

ქიმიური ანალიზებით დადგენილია, რომ ერთი კილოგრამი მშრალი ელექტროგირებული ჩაის ფოთოლი უდრის 0,53 საკვებ ერთეულს 88 გრამი პროტეინის შემცველობით და თავის უყათიანობით უთანასწორდება მაღალხარისხოვან ინჯის თივას. ამასთანავე მასში მოიპოვება კიდევ მცირე რაოდენობით კოფეინი და ტანინი.

კოფეინის წარმოების ანარჩენის — ელექტროგირებული ჩაის ფოთლის ცხოველთა საკვებად გამოყენება მეტად სარგებლიანი და ხელსაყრელია. სუბტროპიკული რაიონების მეურნეობებს, რომლებსაც უხეში საკვების დიდი რაოდენობით შეძენა უხდებათ რესპუბლიკის სხვა რაიონებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში, საშუალოდ ერთი ტონა მდარე ხარისხის თივა 95 მანეთი უჯდებათ. ერთი ტონა ელექტროგირებული ჩაის ფოთლის ფქვილის გადამუშავება წინასწარი გაანგარიშებით არ უნდა დაჯდეს 17 მანეთზე მეტი, ამავე დროს ერთმა ტონა ელექტროგირებულმა ჩაის ფოთლის ფქვილმა თავისი უყათიანობით შეიძლება შეცვალოს ერთი ტონა და 750 კილოგრამი ისეთი თივა, როგორსაც ყიდულობენ მეურნეობები ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ამას გადავიყვანთ ფულად ღირებულებაზე, ყოველი ტონა თივის მაგიერ ანარჩენის გამოყენებით მიღებული ეკონომია 149 მანეთი იქნება.

ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკის მიხეილ ლეონიძის ცდებმა დაადასტურა, რომ პირუტყვი კოფეინის წარმოების ანარჩენს არა ჭამს იმ სახით, როგორიც გამოდის ქარხნიდან, მაგრამ მისი გაშრობის, დაფქვის და კონცენტრატებთან შერევის შემდეგ ცხოველები მას მთლიანად ჭამენ.

კოფეინის წარმოების ანარჩენი წარმოადგენს 70 პროცენტი სინესტის მქონე გამოხარშულ ჩაის ფოთლის მასას, რომელიც გაუშრობლად იწყებს ჩახურებას და ლპობას. საკვებად გამოყენებისათვის კი საჭიროა მისი გაშრობა ისე, რომ სინესტე 10 პროცენტამდე დავიყვანოთ. მასში არის აგრეთვე ღეროები, რომლებსაც ცხოველები მთლიანად ვერ ჭამენ, ამისათვის საჭიროა მათი დაფქვა. საკვების მთლიანად ათვისებისათვის უკეთესია კონცენტრატებთან შერევა.

გულმოდგინე დაკვირვებებით მიხეილ ლეონიძე დარწმუნდა, რომ ცხოველები არ ჭამენ პლანტაციებში ჩაის ფოთოლს. ამასთან მოსახლეობაში დამკვიდრებული ფქვილის გადამუშავება წინასწარი გაანგარიშებით არ უნდა დაჯდეს 17 მანეთზე მეტი, ამავე დროს ერთმა ტონა ელექტროგირებულმა ჩაის ფოთლის ფქვილმა თავისი უყათიანობით შეიძლება შეცვალოს ერთი ტონა და 750 კილოგრამი ისეთი თივა, როგორსაც ყიდულობენ მეურნეობები ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ამას გადავიყვანთ ფულად ღირებულებაზე, ყოველი ტონა თივის მაგიერ ანარჩენის გამოყენებით მიღებული ეკონომია 149 მანეთი იქნება.

ზოოვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის ეკონომიკა-ორგანიზაციის განყოფილების უფროსი მეცნიერ მუშაკის მიხეილ ლეონიძის ცდებმა დაადასტურა, რომ პირუტყვი კოფეინის წარმოების ანარჩენს არა ჭამს იმ სახით, როგორიც გამოდის ქარხნიდან, მაგრამ მისი გაშრობის, დაფქვის და კონცენტრატებთან შერევის შემდეგ ცხოველები მას მთლიანად ჭამენ.

ახალი საკვების წარმოებაში დანერგვის მიზნით საწარმოო ცდა მოეწყო მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის 52 ძროხაზე, რომელთა ნახევარს ეძლეოდა ელექტროგირებული ჩაის ფოთლის ფქვილი, მეორე საკონტროლო ჯგუფს კი ეძლეოდა ჩვეულებრივი საკვები. ცდის 30 დღის განმავლობაში მიღებულ იქნა ცოცხალი წონის მატება საშუალოდ ერთ ფუთზე საცდელ ჯგუფებში 21 კილოგრამი და 770 გრამი, ხოლო საკონტროლო ჯგუფში — 7 კილოგრამი და 50 გრამი. ამასთან არ აღნიშნულა უარყოფითი გავლენა რძის პროდუქციაზე, კლება-მატებასა და ხარისხზე.

გასული წლის 18 ოქტომბრიდან კრწანისის სასწავლო-ექსპერიმენტულ მეურნეობაში ცდაზე დაყენებული იყო ორი წლის ასაკის 27 სული მოზვერი, რომლებიც დაყოფილი იყვნენ 3 ჯგუფად. აღნიშნული ჯგუფებიდან ერთი გამოყოფილი იყო საკონტროლოდ და ეძლეოდა კომბინირებული საკვები თივა და სილოსი. ორ ჯგუფს კი — თავის მაგიერ ექსპერიმენტალურ ... ...

საერთაშორისო თემაზე

ARABTA ERTOBIS PROBLEMEBI

ქაიროში ეგვიპტის, სირიისა და ერაყის დელეგატების მოლაპარაკების შედეგად 17 აპრილს გამოქვეყნდა „ერთობის დეკლარაცია“. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეექმნათ ფედერალური სახელმწიფო — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა ეგვიპტის, სირიისა და ერაყის ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე. ახალი სახელმწიფოს დედაქალაქი იქნებოდა კაირო, მისი ოფიციალური ენა — არაბული ენა, ხოლო სახელმწიფო რელიგია — ისლამი.

დაადგინეს, რომ დეკლარაციის გამოქვეყნების მომენტიდან ხუთი თვის განმავლობაში, ესე იგი 1963 წლის 17 სექტემბრამდე ეგვიპტეში, სირიასა და ერაყში მოეწყობოდა რეფერენდუმი ფედერალური კონსტიტუციის შესახებ და რესპუბლიკის პრეზიდენტის საკითხზე. ფედერალური სახელმწიფო შექმნილად ჩაითვლება რეფერენდუმის შედეგების გამოცხადების შემდეგ, ხოლო ფედერალური დაწესებულებები შეიქმნება რეფერენდუმის მოწყობის 20 თვის შემდეგ. ფედერალურ დაწესებულებათა შექმნით დამთავრდება ორი წლის გარდამავალი პერიოდი.

მაგრამ მოლაპარაკების პირველსავე ეტაპზე, რაც დაიწყო უშუალოდ სირიაში 1963 წლის 8 მარტის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სერიოზული უთანხმოება გამოვლინდა კაიროს პოზიციასა და სირიისა და ერაყის დელეგაციებს შორის. ამ დელეგაციებს სათავეში ედგნენ სირიის პრემიერ-მინისტრი სალაჰ ბითარი და ერაყის მთავრობის მეთაურის მოადგილე ალი სალაჰ საადი, რომლებსაც ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ „ბაასის“ პარტიაში. ეს პარტია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ერაყსა და სირიაში უკანასკნელი სახელმწიფო გადატრიალებათა მომზადებასა და განხორციელებაში და თავი მიაჩნია არაბთა ერთობის იდეების მატარებლად და დამცველად. 1958 წელს სირიისა და ეგვიპტის გაერთიანების წინ სირიის პარტია „ბაასი“ იცავდა ასეთ კავშირს, მაგრამ შემდეგში დაშორდა მთელ რიგ საკითხებში ეგვიპტის ხელმძღვანელებს და „ბაასის“ ცალკეული მოღვაწეები არ ფარავდნენ თავიანთ მტრულ დამოკიდებულებას კაროსადმი.

სირიისა და ეგვიპტის გაერთიანების პირველი ცდა დამთავრდა სახელმწიფო გადატრიალებით დამასკოში 1961 წლის სექტემბერში და იმით, რომ სირია გავიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან. შემდეგში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნასერმა და „ბაასის“ ხელმძღვანელთა ნაწილმა აღიარა, რომ გაერთიანების განხორციელების პროცესში დაშვებული იყო სერიოზული შეცდომები და გაუგებრობანი. გადაწყდა გაეთვალისწინებინათ და აღარ გაემეორებინათ ეს შეცდომები ახალი ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის დროს.

მარტისა და აპრილის სამმხრივმა მოლაპარაკებამ კაიროში ცხადყო, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და „ბაასის“ პარტიის ხელმძღვანელები ბევრი საკითხის გადაჭრას სხვადასხვა პოზიციიდან უდგებიან და სხვადასხვა შინაარსს დებენ ერთობის ცნებაში. მოლაპარაკების მონაწილეთა შეხედულებანი განსაკუთრებით დაშორდა ერთმანეთს ცენტრალური მთავრობისა და ფედერაციის მონაწილე ქვეყნების მთავრობათა უფლებამოსილების საკითხში. მოლაპარაკებების საბოლოო ეტაპზე სირიისა და ერაყის დელეგაციებს სათავეში ედგნენ უკვე არა „ბაასის“ პარტიის ხელმძღვანელები, არამედ სირიისა და ერაყის სამხედრო წრეების წარმომადგენლები—სირიის „რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს“ თავმჯდომარე გენერალი უფუი ატასი და ერაყის მთავრობის მეთაური გენერალი ბექრი. მათი უშუალო მონაწილეობით იშვა „ერთობის დეკლარაცია“, რომელმაც გამოიცადა ეგვიპტის, სირიისა და ერაყის ერთიან ფედერაციულ სახელმწიფოდ გაერთიანება.

ამ დეკლარაციის გამოქვეყნების მომენტიდან ერთი თვე გავიდა, მაგრამ ყველაზე ნაკლებად შეიძლება მას ვუწოდოთ არაბთა ერთობის თაფლობის თვე. გამოვლინდა, რომ დეკლარაციის მიღებას არ ამოუწურავს კაიროს, დამასკოსა და ბაღდადს შორის არსებული უთანხმოებანი. სირიისა და ერაყის თვით არაბთა ნაციონალისტური ჯგუფების შიგნით მწვავე ბრძოლა გაიმართა არაბთა ქვეყნების ერთობის განხორციელების საკითხში. ამ საკითხში სირიისა და ერაყის ბურჟუაზია გათიშული აღმოჩნდა. სირიაში, სადაც ყოველთვის მრავალი პოლიტიკური პარტია იყო, ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ფორმები მიიღო. გამოვლინდა დიდი უთანხმოებანი, ერთი მხრივ „ბაასის“ პარტიას, რომელიც ისწრაფვის მმართველი პარტიის როლი შეასრულოს, და, მეორე მხრივ იმ ნაციონალისტურ ჯგუფებს შორის, რომლებსაც ჩვეულებრივად პრესაში აღნიშნავენ „უნიონისტების“, ესე იგი ეგვიპტესთან დაუყოვნებლივ და უთუო გაერთიანების მომხრეთა სახელით. ამ ჯგუფებს შორის არიან „არაბთა გაერთიანებული ფრონტი“, „არაბი ნაციონალისტების მოძრაობა“, „სოციალისტი უნიონისტები“. სირიის მმართველი წრეების უთანხმოებამ მწვერვალს მიაღწია, როცა 8 მაისს დამასკოში მთავრობის კრიზისი წარმოიშვა, რაც გამოიწვია იმან, რომ ს. ბითარის მთავრობიდან გავიდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე ნიჰაჰ უასეი და ოთხი უნიონისტი მინისტრი. მომდევნო დღეებში გადადგა კიდევ რამდენიმე მინისტრი. იმ დღეებში დამასკოში, ალეპოსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში მოსწავლე ახალგაზრდობის დემონსტრაციები იმართებოდა ეგვიპტესთან დაუყოვნებლივ გაერთიანებისა და უნიონისტების დაჯგუფებათა პოზიციისათვის მხარდაჭერის ლოზუნგით. სირიის ხელისუფლებმა დაუყოვნებლივ განახორციელეს ენერგიული ღონისძიებანი, რათა თავიანთ კონტროლში შეენარჩუნებინათ მდგომარეობა სირიაში. დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს პოლიცია და ჯარები, შემოიღეს საკომენდანტო საათი, მოახდინეს დაპატიმრებანი.

ეს ამბები ხდებოდა სირიაში იმ დროს, როცა კაიროში გაემგზავრა და იქ იმყოფებოდა სირიის მთავრობის დელეგაცია გენერალ ატასის მეთაურობით. ეს დელეგაცია ცდილობდა მოეწესრიგებინა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და სირიის ხელმძღვანელებს შორის „ერთობის დეკლარაციის“ ხელის მოწერის შემდეგ წარმოშობილი შეხლა-შემოხლა. დელეგაციის დამასკოში დაბრუნების შემდეგ, იუწყებოდა ფრანს პრესის საგეგტოს ბეირუთელი კორესპონდენტი, სირიის „რევოლუციური სარდლობის ეროვნულმა საბჭომ“, რომელიც ძირითადად ბაასისტებისაგან შედგება, მიიღო გადაწყვეტილება გაეწმინდა არაბი ეროვნის მომხრე ელემენტებისაგან. ერაყიელებს მოეწყო რიგი უმაღლესი თანამდებობის ოფიცრები, ბევრი ოფიცერი დააპატიმრეს და დაითხოვეს. [illegible] ოფიცრებმა მთავარი ოსტატი — [illegible] სირიის შეიარაღებულ ძალებში.

[illegible] ეროვნული [illegible] — [illegible] გადაწყვეტილების ძალებდა, 11 მაისს ახალი მთავრობის შედგენა დაავალა სამი ჯუნდის, რომელსაც სალაჰ ბითარის კაბინეტში ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრის პოსტი ეკავა. ჯუნდი უნიონისტ სოციალისტების მოძრაობის ერთ-ერთი წამომწყები იყო. ჯუნდის ცდები — შეედგინა მთავრობა უნიონისტების მონაწილეობით მარცხით დამთავრდა. უკანასკნელნი ცვლიან დაუინებით მოითხოვდნენ „ბაასის“ პარტიის თანაბარ წარმომადგენლობას კაბინეტსა და „რევოლუციური სარდლობის ეროვნულ საბჭოში“, დათხოვნილი ოფიცრების აღდგენას არმიაში და მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა გადასინჯვას.

ამ დროს სირიის მეზობელ ერაყშიც მწიფდებოდა სერიოზული მოვლენები. 11 მაისს ბაღდადის რადიომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ გადადგა ერაყის მთავრობა, რომელსაც ბექრი მეთაურობდა. გენერალ ბექრს დაევალა მინისტრთა ახალი კაბინეტის შედგენა. როგორც ბეირუთის გაზეთი „ალ ანუარი“ ამტკიცებს, მთავრობის კრიზისი ერაყში იმან გამოიწვია, რომ გადადგა კაიროს მახლობელი პარტიის „ისლიმქალის“ წევრი ორი მინისტრი. გადადგომის შესახებ განცხადებას რომ აძლევდნენ, მინისტრებს სურდათ გამოეთქვათ პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ბაასის პარტიამ ერაყში საკომანდო პოსტები დაიკავა და გამოიწვიათ მთავრობის კრიზისი. მაგრამ ერაყის „რევოლუციური სარდლობის ეროვნულმა საბჭომ“ განაბოლოა ლეგალური კონტრ-მანევრი, უბრძანა მთავრობის მეთაურს გენერალ ბექრს შეეტანა განცხადება მთელი მთავრობის გადადგომის შესახებ და მას დაავალა შეედგინა ახალი კაბინეტი.

ერაყის მთავრობის კრიზისის სწრაფად გადაჭრამ დააჩქარა სირიის ამბები. სამი ჯუნდომ უარი თქვა ახალი კაბინეტის შედგენაზე, და მთავრობის შედგენა კვლავ დაევალა სალაჰ ბითარის მისი ახალი კაბინეტის 16 მინისტრიდან 9 „ბაასის“ პარტიის წევრია, ხოლო შვიდი დამოუკიდებელია.

ლიბანის პრესის აზრით, ერაყისა და სირიის მთავრობის კრიზისებს შორის სრული ანალოგიაა. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში „ბაასის“ პარტია გამოვიდა უნიონისტების დაჯგუფებათა წინააღმდეგ, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი პრონასერული სიმპათიებით. ამ დაჯგუფებებში სადავოდ გახადეს „ბაასის“ პარტიის უფლება — გაუწიოს კონტროლი ეროვნულ მოძრაობას, არმიას, პოლიციას, მთავრობასა და სახელმწიფო აპარატს. ძალების მოსინჯვაში გამიმარჯვეს ბაასისტებმა.

კაიროს პრესას არ დაუმალავს დიდი უკმაყოფილება სირიისა და ერაყის უკანასკნელი ამბების გამო. გაზეთ „ალ აჰრამის“ აზრით, „ბაასის“ პარტია, რომელმაც უზრუნველყო თავისი გაბატონებული მდგომარეობა სირიაში, ემზადება გადამწყვეტი შეტაკებისათვის კაიროსთან. კაიროს გაზეთები ბრალად სდებენ ბაასისტებს ღალატსა და არაბთა ერთობისათვის ძირის გამოთხრას.

კაიროს პრესის თვალსაზრისით პასუხად სირიის ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ იცავენ „ერთობის დეკლარაციის“ პრინციპებს და მზად არიან განახორციელონ მისი დებულებანი. ს. ბითარმა 15 მაისს გააკეთა პროგრამული განცხადება და თქვა, რომ არაბთა ფედერალური სახელმწიფოს შექმნა მისი მთავრობის უმთავრეს ამოცანად რჩება. რაც შეეხება უთანხმოებას, რომელიც კაიროსა და დამასკოს შორის წარმოიშვა, იგი, ბითარის აზრით, სერიოზულ საფრთხეს არ უქმნის არაბთა სამი სახელმწიფოს ფედერაციას.

ა. სტუპაკი.
(საკდესი).

საგანსაკუთრებული გულითადობა

სანტ-იაგო, 20 მაისი. (საკდესი). ჩილის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას უთმობს კუბის პრემიერ-მინისტრის ფიდელ კასტროს ყოფნას საბჭოთა კავშირში. გაზეთები ბეჭდავენ დაწვრილებით ცნობებს რევოლუციური კუბის ლიდერის ფიდელ კასტროს საბჭოეთში მოგზაურობიდან მოსკოვში დაბრუნების შესახებ. გაზეთი „სიგლო“ წერს, რომ ვოლგოგრადში, ტამკენტში, სამარყანდში, ირკუტსკში, ბრატსკში, კრასნოიარსკში, სვერდლოვსკსა და ლენინგრადში ფიდელ კასტრო და მისი ამხანაგები საბჭოთა ხალხმა განსაკუთრებული გულითადობით მიიღო.

გორდონ კუპერის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 20 მაისი. (საკდესი). კანავერალის კონცხზე გაიმართა ამერიკელი კოსმონავტის გორდონ კუპერის პრეს-კონფერენცია, რომელზეც კუპერმა ილაპარაკა თავისი 34 საათის კოსმოსური ფრენის შესახებ. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, კუპერმა განაცხადა, რომ კოსმოსური ხომალდის „ფეიტ—7“-ის გაშვება და მისი ორბიტაზე გასვლა ნორმალურად მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, გაციცებით უფრო ძლიერ ვიბრაციას, თქვა მან. იგი გაცილებით უფრო სუსტი აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

კოსმონავტმა განაცხადა, რომ მეორე შემოვლის დროს დაიძინა ცოტა ხნით. როცა გავიღვიძე, თქვა კუპერმა, პირველად ვერ გამეგო, სად ვიყავი. დავინახე, რომ ხელები თავისუფლად დაცურავენ ჩემს წინ. რადგან საშიში იყო, რომ ხელები ძილის დროს შეიძლებოდა შეხებოდა ხელსაწყოებს, თითები მუზარადის შესაკრავში შევყავი, როცა მეორედ დავაპირე დაძინება. მისი სიტყვით, საერთოდ ფრენის დროს 5-6,5 საათი ეძინა.

კუპერმა თქვა, რომ თავისი მიმღებით ესმოდა უკანასკნელ ცნობათა გადაცემა უცხო ენაზე, რომელშიც მისი გვარიც იყო მოხსენებული. იგი ვერ მიხვდა რა ენაზე წარმოებდა გადაცემა. მაგრამ, მისი აზრით, შესაძლოა ეს იყო რუსული ენა.

გორდონ კუპერმა განაცხადა, რომ შეეძლო უაღრესად მკაფიოდ ეწარმოებინა დაკვირვება დედამიწის ზედაპირზე და გაკვირვებული იყო, რომ ღრუბლები თითქმის არ უშლიდა ხელს ამ დაკვირვებას. იგი გარკვევით არჩევდა საგნებს დედამიწაზე და ერთ ადგილას შენიშნა მატარებელი, რომლის მილიდან კვამლი ამოდიოდა. მეხუთე შემოვლის დროს მან დაინახა სინათლის მძლავრი მიწისაზედა წყარო, რომელიც ჩართული იყო ბლუმფონტეინში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა), როგორ ეს დაგეგმილი იყო.

შეეხო რა მართვის ავტომატური სისტემის უწესივრობათა საკითხს, კუპერმა განაცხადა, რომ ამ უწესივრობებმა, რომლებიც თანდათანობით იზრდებოდა მას შემდეგ, რაც დროზე ადრე ჩართეს მწვანე შუქნიშანი, რომელიც უნდა ინთებოდეს მხოლოდ მაშინ, როცა ორბიტიდან გამოდის კოსმოსური ხომალდი, აიძულეს იგი ხელით ჩაერთო სამუხრუჭო რაკეტები და გამოეყენებინა ხელის მართვა კაბინის დასაბრუნებლად ატმოსფეროში, ესე იგი ფრენის ყველაზე საშიშ უბანზე.

კოსმონავტმა განაცხადა, რომ ფრენის შემდეგ თავს ნორმალურად გრძნობდა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორგანიზმი ძლიერ იყო დასუსტებული იმ მოწყობილობათა უწესივრობის შედეგად, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კოსმონავტის კვებას. თავს ჩინებულად გვრძნობდი, თქვა კუპერმა, ისე, თითქოს მთელი დღე ვიმუშავე.

„რუსეგი პირველოგას ინარჩუნებენ“

პარიზი. (საკდესი). „რუსები კვლავ ინარჩუნებენ პირველობას კოსმოსის ათვისებაში და როგორც ჩანს კიდევ დიდ ხანს იქნებიან პირველნი“ — წერს „პარი ეფური“.

„მიუხედავად იმისა, რომ გ. კუპერის გაფრენა წარმატებით დამთავრდა, მისი „რეკორდი“ ვერ შეედრება საბჭოთა კოსმონავტების ანდრიან ნიკოლაევისა და პავლე პოპოვიჩის მიღწევებს, რომლებმაც შესაბამისად 64-ჯერ და 48-ჯერ შემოუარეს დედამიწას.

შემდეგ, გაზეთი წერს, რომ ამერიკელი სპეციალისტები ფრიად პესიმისტურად არიან განწყობილნი, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ საბჭოთა კოსმონავტების მიღწევებს ამერიკელები მხოლოდ 1965 წელს გაიმეორებენ, რადგან ამ ვადაზე ადრე გაფრენები არ არის გათვალისწინებული.

მკვლელები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ

ბონი, 20 მაისი. (საკდესი). ჰიტლერის ერთ-ერთი პოლიციური ბატალიონის სამი ყოფილი მოსამსახურე დღეს სასამართლოს წინაშე წარსდგება ფრაიბურგში. მათ ბრალად ედებათ ოკუპირებული რაიონების მშვიდობიანი მოსახლეობის დახოცვა მეორე მსოფლიო ომის წლებში. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, მათ ბრალად ედებათ მონაწილეობა ეგრეთ წოდებულ „წმენდის და დაშმშენების აქციებში“, რაც ეწყობოდა „აღმოსავლეთ ფრონტის ახლო ზურგის რაიონებში“. 1941 წლის ზაფხულში მინსკის, მოგილიოვის, ბელოსტოკის რაიონებში დახოცილია თითქმის 10 ათასი კაცი, მათ შორის ქალები, ბავშვები, მოხუცები.

სასამართლოს წინაშე წარსდგებიან ი. ული, გ. რობელი და გ. პიულზემანი.

საგულისხმოა, რომ ორი მათგანი ომის შემდეგაც დასავლეთ გერმანიის პოლიციაში მსახურობდა, ხოლო ი. ულს დაპატიმრებამდე, რაც 1960 წლის ოქტომბერში მოხდა, ეკავა კადრების განყოფილების ხელმძღვანელის პოსტი სამხრეთ ბადენის პოლიციურ დირექციაში.

სასამართლო პროცესი თვეზე მეტ ხანს გასტანს.

ნასერისა და ბენ ბელას მოლაპარაკება

კაირო, 20 მაისი. (საკდესი). გუშინ კაიროში დაიწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტ ნასერისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბენ ბელას მოლაპარაკება. ამ შეხვედრის გამო, იუწყება მენის სააგენტო, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ალი საბრიმ განაცხადა, რომ ნასერმა და ბენ ბელამ განაგრძეს მოლაპარაკება, რომელიც მათ დაიწყეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ალჟირში ვიზიტის დროს. პრეზიდენტმა და მთავრობის თავმჯდომარემ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი იმ საკითხებზე, რომლებსაც განიხილავენ აფრიკის სახელმწიფოთა მეთაურები ადის-აბების კონფერენციაზე. მათ განიხილეს აგრეთვე პრობლემები, რომლებიც არაბთა და აფრიკის სახელმწიფოებს შეეხებიან.

პრეზიდენტმა ნასერმა, ნათქვამია უცხოეთის დეპეშათა სააგენტოების ცნობებში, ბენ ბელას განუმარტა სირიაში შექმნილი მდგომარეობა და სხვა მოვლენები, რომლებიც მოხდა მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კაიროს დეკლარაცია სამთა — ეგვიპტის, ერაყისა და სირიის ფედერაციის გამოცხადების შესახებ.

ბენ ბელამ დაადასტურა, რომ სავსებით უჭერს მხარს ყველა ღონისძიებას ამ ერთობის განსახორციელებლად.

დახურული სამხედრო ზონა ერაყში

ბაღდადი, 20 მაისი. (საკდესი). ერაყის ჩრდილოეთ რაიონების (ერაყის ქურთისტანი) სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა გასცა განკარგულება, რომლითაც რაიონის მნიშვნელოვანი ტერიტორია გამოცხადებულია დახურულ სამხედრო ზონად. სამოქალაქო პირებს უფლება არა აქვთ მიუახლოვდნენ ამ რაიონს არც დღისით, არც ღამით. ჯარის ქვეგანაყოფებს შეუძლიათ ცეცხლი დაუშინონ იმ პირთა ყოველ ჯგუფს, რომელიც უნებართვოდ გამოჩნდება აკრძალულ რაიონში.

ტელეგრაფი გვაცყობინებს

● **რომი**, 20 მაისი. (საკდესი). დღეს რომში მუშაობა დაიწყო იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. მოხსენება პარლამენტის 28 აპრილის არჩევნების შედეგებისა და იტალიის პოლიტიკურ ვითარებაში მარცხნივ გადახრისათვის ბრძოლის შესახებ გააკეთა პარტიის სამდივნოს წევრმა პიეტრო ინგრაომ.

● **სოფია**, 20 მაისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა ბულგარელ ურნალისტთა კავშირის II ყრილობა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს ოთხასზე მეტი დელეგატი. ყრილობას ესწრებიან სტუმრები მთელი რიგი ქვეყნების ურნალისტთა ორგანიზაციებიდან. საბჭოთა ურნალისტებს წარმომადგენელია საბჭოთა ურნალისტების კავშირის მდივანი, საკდესის გენერალური დირექტორი დ. პ. გორიუნოვი.

● **რაბატი**. (საკდესი). აქ ხელი მოაწერეს მაროკოსა და კუბის სავაჭრო შეთანხმებას სამი წლის ვადით.

შეთანხმება ითვალისწინებს, რომ მაროკო ამ ხნის მანძილზე კუბაში შეიტანდის ერთ მილიონ ტონა მაქრის ნედლეულს, აგრეთვე კუბიდან შეიტანს თამბაქოს.

თავის მხრივ, მაროკო კუბას მიაწვდის კონსერვებსა და სარდინებს, თევზის ფხვნილს, ფოსფატებსა და კორპის ქერქს.



ნიგერიის ფედერაციის დედაქალაქი ლაგოსი. არასრული ცნობებით, ქალაქის მოსახლეობა დაახლოებით 400 ათასი კაცია.

თანამედროვე ლაგოსი კონტრასტების ქალაქია. აქ კეთილმოწყობილი რაიონების გვერდით, სადაც ძირითადად თეთრკანიანი მოსახლეობაა, არის რაიონები, სადაც ადგილობრივი ფერადკანიანი მოსახლეობა ცხოვრობს სრულიად მოუწყობელ ძველ პატარა სახლებში. ამ რაიონებში მოსახლეობა მეტისმეტად ჭარბია.

სურათზე: ქუჩა ძველ ლაგოსში.
ფოტო ვ. კარლენკოსი. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ფორუმი

◊ **პარიზი**, 19 მაისი. (საკდესი). გუშინ პარიზის გარეუბან სენდენიში გაიხსნა განიარაღების გენერალური შეტაკები, რომლებიც საფრანგეთის მშვიდობის მომხრეებმა მოიწვიეს. გენერალური შეტაკების თავაარი მიზანია დარაზმოს საფრანგეთის საზოგადოებრიობის მთელი ძალები მკაცრ საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის ბრძოლის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, ატომური ომის საფრთხისავან კაცობრიობის ხსნისათვის.

სენტ-უენი, 19 მაისი. (საკდესი). დღეს ათასობით ფრანგი შეიკრიბა პარიზის გარეუბან სენტ-უენში მშვიდობის მომხრეთა გრანდიოზულ მიტინგზე, რომელიც აგვირგვინებს განიარაღების გენერალური შეტაკების მუშაობას. მშვიდობის მომხრეთა სენტ-უენის სტადიონზე შემოვიდნენ დაუსრულებელი კოლონები, თან მოიტანეს პლაკატები და ლოზუნგები, რომლებიც მშვიდობისა და განიარაღებისათვის მოუწოდებენ. ისინი აქ მოვიდნენ, რათა ხმამაღლა, მთელი ქვეყნის გასაგონად განეცხადებინათ: ფრანგი ხალხი მოითხოვს საყოველთაო და სრულ განიარაღებას! აქ არიან ბრეტანისა და პროვანსის, ლორენისა და გასკონის, ბურგუნდისა და ჟირონდის დელეგატები. განსაკუთრებით ბევრია პარიზელი და პარიზის სამრეწველო გარეუბნების მცხოვრები.

მასობრივ მიტინგზე გენერალური შტაბების მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუციები, რომლებშიც ხაზს უსვამენ ატომური ომის სერიოზულ საფრთხეს, მსოფლიოს რომ ემუქრება, და მოუწოდებენ მთელ ფრანგ ხალხს კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს ბრძოლა განიარაღებისა და მშვიდობისათვის.

განიარაღების გენერალური შტაბები საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის განვითარების ახალი მნიშვნელოვანი ეტაპია.

დასავლეთგერმანელი გლეხები პროტესტს აცხადებენ

ბონი, 20 მაისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის შლეზვიგ-ჰოლშტაინის მხარის 1300-ზე მეტმა გლეხმა პროტესტი გამოთქვა ბონის მთავრობის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც იწვევს წვრილ და საშუალო გლეხთა მეურნეობების გაჩანაგებას. საპროტესტო მიტინგზე, რომელიც კუსსჰაფენის მახლობლად გაიმართა, გლეხებმა გაშალეს შავი დროშა წარწერით: „აღსდექ, გლეხო, დაიცავი თავი!“. მიტინგზე გამოსულმა ორატორმა მოუწოდა შეკრებილთ გადამწყვეტი მოქმედებისათვის.

საერთაშორისო

UTANXMOEBIS BUDE

20 მაისის უცხოური პრესის მიმოხილვა

დღეს საზღვარგარეთის პრესის დიდ ყურადღებას იპყრობს საბჭოთა მთავრობის ნოტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი საფრანგეთ - დასავლეთ გერმანიის სამხედრო შეთანხმების გამო. გაზეთებში იბეჭდება საბჭოთა დოკუმენტების შინაარსი, კომენტარები.

დასავლეთის პრესა აჭრელებულია მასალებით იმასთან დაკავშირებით, რომ 22 მაისს ოტავაში იხსნება ნატოს საბჭოს სესია. ინგლისის „გარდიანი“, თუმცა ბეჭდავს ზოგიერთ შენიშვნას, მაგრამ მხარს უჭერს ნატოს „ატომური ძალების შექმნის ამერიკულ გეგმას. „დეილი ექსპრესი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს, რომ საშიშია ატომური იარაღის მიცემა დასავლეთ გერმანიისათვის. არავითარი შემთხვევაში, ხაზს უსვამს გაზეთი, ატომური იარაღი არ უნდა ჩაუვარდეს ხელთ დასავლეთ გერმანიას.

დასავლეთ გერმანიის „ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი ოტავაში მხარს დაუჭერს „ნატოს შემდგომ განმტკიცებას“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს დღეს ჟენევიდან მიღებულ კორესპონდენციას სერიოზულ უთანხმოებათა შესახებ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ ევროპელ მოკავშირეებს შორის წარმოიშვა ტარიფების შემცირების საკითხში. გაზეთი აღნიშნავს, რომ „შესაძლებელია სერიოზული კრიზისი ამერიკის შეერთებული შტატებისა და საერთო ბაზრის ურთიერთობაში“.

ამავე გაზეთში დაბეჭდილია შენიშვნა, რომელიც ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ პოლონეთზე როგორც ლაოსის საშეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიის წევრზე. გაზეთი თავს ნებას აძლევს ეკონომიური რეპრესიებით დაემუქროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას.

აფრიკის სახელმწიფოთა მთავრობების მეთაურთა ადის-აბების მომავალ შეხვედრას თვალსაჩინო ადგილი უკავია საზღვარგარეთის პრესის ფურცლებზე. ზოგიერთი სკეპტიკოსის საწინააღმდეგოდ, როგორიც არის მაგალითად ამერიკის „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ და ინგლისის „ფაინენშლ ტაიმსი“, ბევრ გაზეთს ეს შეხვედრა მიაჩნია უმნიშვნელოვანეს მოვლენად, რომლის მნიშვნელობაც სცილდება აფრიკის კონტინენტის ფარგლებს.

დასავლეთ გერმანიის პრესა ბეჭდავს თავდაცვის მინისტრის ფონ ჰასელის განცხადებას ეგრეთ წოდებული ტერიტორიული არმიის შექმნის საკითხზე. ამასთან „დი ველტი“ აღნიშნავს, რომ ბონის თავდაცვის სამინისტრო აპირებს დაარეგისტრიროს ბუნდესვერის ამ კონტინგენტების შექმნა. იმოწმებს რა სამხედრო სპეციალისტებს, „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ ტერიტორიულ არმიაში შევა დაახლოებით 200.000 კაცი და შედგება რეკვიზიტებისაგან.

იაპონიის გაზეთი „მაინიჩი“ სარედაქციო სტატიაში იმის შესახებ, რომ ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავები შედიან იაპონიის ნავსადგურებში, აღნიშნავს საზოგადოებრიობის ფართო პროტესტებს, რომელიც „შეშფოთებულია ცდებით, რომ გადაქაცონ იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების ატომურ ფორპოსტად. (საკდესი).

ARABTA ERTIANEBIS BRAZILIA

ბრაზილია, 20 მაისი. (საკდესი). ბრაზილიის ეროვნული კონგრესი ოფიციალურ ბანკეტზე ერაყის ელჩ ალ-ალუსის, ერაყის ეროვნული ბანკის ორ ხელმძღვანელ, ერაყის ეროვნული ბანკის ბრაზილიაში ფილიალის ორ ხელმძღვანელ, ბრაზილიაში ერაყის ელჩის ორ მრჩეველ, ერაყის ეროვნული ბანკის ბრაზილიაში ფილიალის ერ

ტიგრან პეტროსიანი მსოფლიოს ჩემპიონია

საჭადრაკო სამყაროს მეცხრე გვირგვინოსანი

მოსკოვი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). მას შემდეგ, რაც მიხეილ ბოტვინიკი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, პრეტენდენტებს ბუნი ტურნირი ჩატარდა მისი მეტოქის გამოსავლენად. ოთხ მთავარში სხვა გამოჩენილი გროსმაისტერები! მხარდამხარ იბრძოდა თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერესი მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანი, შეუპოვარი მებრძოლი, რომელმაც არაერთხელ დამტკიცა, რომ შეუძლია უძლიერესი მეტოქეების დამარცხება, მაგრამ მისი დაძლევა კი გადაუწყვეტელი პრობლემა გახდა. პეტროსიანისათვის ჭაბუკობის წლებიდანვე ჭადრაკი იმდენად მიმზიდველი იყო, რომ უამისოდ თავისი სიცოცხლე ვერ წარმოედგინა. მაგრამ კარგა ხანს იგი მაინც ჩვეულებრივ ოსტატად ითვლებოდა, მოჭადრაკედ, რომელიც იმედებს იძლევა, მაგრამ რომლის თამაშიც ჯერ კიდევ ძალიან შორსაა სრულყოფისაგან.

მოსკოვი. 20 მაისი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). დღეს მსტრადის თეატრში გაიმართა ბოტვინიკ-პეტროსიანის მატჩის მორიგი ოცდამეორე პარტია.

უკვე მეთერთმეტე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად ანგარიში გახდა 12½:9½ პეტროსიანის სასარგებლოდ. ტიგრან პეტროსიანმა მოიგო მატჩი და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო ბოტვინიკი თავის საჭადრაკო პრაქტიკაში მესამედ — ექსჩემპიონი.

მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა მხურვალე ოვაცია გაუმართა მატჩის მონაწილეებს, რომლებმაც დიდი ოსტატობა გამოავლინეს. მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მაყურებლებმა ხელში აიტაცეს და ისე გამოიყვანეს სატურნირო დარბაზიდან.

დავით ჯიოევის დაბადების 50 წლისთავი

მიტეტის მდივნად თუ პარტიული კომიტეტის მდივნად, ყველგან მტკიცე კომუნისტად, მოწინავე ადამიანად გვევლინებოდა.

სარეცელზე დაიწყო მისი მწერლობა... ეს ნიჭიერი ადამიანი ყოველი ლექსის თუ მოთხრობის დაწერის დროს ახალ ენერგიას იძენდა, ახალი ნაწარმოების შექმნით გზას მიიკვლევდა სიცოცხლისაკენ, მშობელი ხალხის გულისაკენ. კიდევაც დაიმკვიდრა მშრომელთა გულის მესაიდუმლეს, სამშობლოს და სიცოცხლის მომღერლის სახელი.

ამას ადასტურებს დ. ჯიოევის მთელი ცხოვრება, მისი უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედება. მას რაღაც საოცარი შემოქმედებითი ენერგია აღმოაჩნდა. მან თვისი კვალი გაავლო ოსურ პოეზიას, დრამატურგიას. ყოველ ეანრში შექმნა შესანიშნავი ნაწარმოებები.

გავიხსენთ მისი ლექსთა კრებულები, პოემები, მოთხრობები, რომანები და პიესები, რომელთა დიდი უმრავლესობა თარგმნილია ქართულ და რუსულ ენებზე. დ. ჯიოევის სანი ოსურ საბჭოთა მწერლობას ჰყავს ძლიერი ნებისყოფის, დიდი კოსტა ხეთაგუროვის გზაზე მავალი შემოქმედი. მართლ ის რად ღირს, რომ მან საკოლმეურნეო ცხოვრებ ბ.ს თემაზე შექმნა ოთხტომიანი საუკეთესო რომანი, რომელიც ისევე, როგორც ნიკოლოზ ოსტროვსკიმ კორჩაგინში, თავისი ცხოვრება ამ რომანის ერთ წამყვან გმირში — სოსლანში გადაატანა, მკვეთრად და წარმტაცად გამოსახა.

გავიხსენოთ აგრეთვე ისტორიული რომანი „ილიკო", „განთიადი", პოემები „ორი მდინარის საუბარი", „თამარ-მა" და მთელი რიგი ლირიკული ლექსები.

დ. ჯიოევის ნაწარმოებები დიდი ხანია გასცდა მშობლიური ოსეთის ფარგლებს და მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილებად იქცა.

ორმოცდაათი წელი შეუსრულდა ცნობილ მწერალს დავით ჯიოევს. სარეცელი დაუძველდა მის დალეწილ, დამსხვრეულ სხეულს, მაგრამ არ დაღლილა ნიჭიერი მწერლის მებრძოლი სული. ვუსურვოთ კვლავ ნაყოფიერი მოღვაწეობა მშობელი ხალხის საკეთილდღეოდ, ვუსურვოთ შემდგომი წინსვლა დიდ შემოქმედებითს გზაზე.

სიმონ წვერავა.

ტორპედოელთა წარმატება

გასულ კვირაოდეს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შედგა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა" და დედაქალაქის „ლოკომოტივს" შორის.

ტორპედოელებმა მოწინააღმდეგეს დასაწყისშივე მაღალი ტემპი შესთავაზეს და წარმატებასაც მიაღწიეს. მე-2 წუთზე კუტავაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან ანგარიში გახსნა. ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა, მაგრამ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო მდგომარეობის შეცვლა. გაიმარჯვეს ქუთაისის ტორპედოელებმა.

დინამოელებმა პრიზი მოიპოვეს

წყალბურთელთა დიდი ტურნირი თბილისში ამოიწურა. სპორტის მოყვარულები ფიზკულტურის პარკის საცურავ აუზში არაერთი მიმზიდველი ასპარეზობის მოწმენი იყვნენ. ფაქტიურად პირველი ადგილის საკითხს წყვეტდა თბილისის „დინამოსა" და ცვსკ-ის მატჩი, რომელიც, როგორც ცნობილია, თბილისელებმა მოიგეს.

ამის შემდეგ დინამოელთათვის ფინიშისაკენ მიმავალი გზა ხსნილი იყო და მათაც ყველა შეხვედრა მოიგეს. უკანასკნელ მატჩში ლვოვის დინამოელებთან მასპინძლებმა წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 6:0.

ამრიგად, თბილისის „დინამომ" ტურნირი დაუმარცხებლად დაამთავრა და 13 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. დინამოელებმა მეტოქის კარში 25 ბურთი გაიტანეს, საკუთარ კარში კი 9 ბურთი მიიღეს. მეორე ადგილზე გამოვიდა ცსკ-ის გუნდი, მესამეზე სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი მოსკოვის „დინამო".

ტურნირში გამარჯვებულ თბილისის „დინამოს" წყალბურთელებს საზეიმოდ გადაეცათ საკავშირო სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრიზი. ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე პრიზიორებს.

მათამაშეების ცხრილი

კირველი ქვეჯგუფი

მდგომარეობა 21 მაისისათვის	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მ.)	6	4	0	12—1	16
„ნეფტიანიკი" (ბ.)	7	1	2	13—8	15
სკა (როსტ.)	5	3	2	16—8	13
„დინამო" (თბ.)	5	3	2	15—9	13
ცსკა	3	7	0	8—3	13
„სპარტაკი" (მ.)	5	2	3	18—11	12
„დინამო" (ვნ.)	3	6	1	13—11	12
„დინამო" (კ.)	4	3	3	14—11	11
„ტორპედო" (ქ.)	3	5	2	8—7	11
„ლოკომოტივი" (მ.)	2	6	1	7—5	10
„ავანგარდი" (ხ.)	4	2	4	10—10	10
„შახტიორი" (დ.)	3	4	3	5—6	10
„ზენიტი" (ლ.)	3	3	3	13—15	9
„კაირატი" (ალ.)	4	1	5	9—13	9
„კრ. სოვ." (კუიბ.)	3	2	5	11—11	8
„ტორპედო" (მ.)	3	2	5	10—16	8
„არარატი" (ერ.)	2	2	6	10—16	6
„მოლდოვა" (კიშ.)	0	6	4	5—12	6
„პახტაკორი" (ტ.)	1	1	8	8—19	3
„დინამო" (ლ.)	0	3	7	4—17	3

კანდიდატები უკანასკნელ ფღუდესთან

გუშინდელი მეთერთმეტე ტურით დაიწყო საქართველოს უძლიერეს მოჭადრაკეთა და მოწვეულ ოსტატთა ტურნირის ფინიში. მთავარი საკითხი ახლა ისაა, შეასრულებს თუ არა რომელიმე ოსტატობის კანდიდატი ოსტატის წოდების მოსაპოვებლად საჭირო ქულათა ნორმას.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ კალატოზიშვილმა, რომელმაც რთულ კომბინაციურ ბრძოლაში სძლია კიკიანს. ახლა კალატოზიშვილს 7 ქულა აქვს და დარჩენილ ოთხ შეხვედრაში 2 ქულა მაინც უნდა მოაგროვოს. გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა ოსტატის წოდების მეორე პრეტენდენტმა ჯინჯიხაშვილმა. მასაზან შავებით მოთამაშე შიშოვმა ამკარად საყაიმო გაგრძელება აირჩია, მაგრამ მოულოდნელად ჯინჯიხაშვილი უხეშად შეცდა და წაგა. ბერაძემ შავებით ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ხოლმოვთან. ასეთივე შედეგით დასრულდა შამკოვიჩის შეხვედრა ჰალილბეილისთან. ბუსლაევმა ბლაგიძესთან საესებით უიმედო ენდშპილის მიღების შემდეგ შეწყვიტა წინააღმდეგობა. თხელიძემ შავებით ხელთ იგდო ინიციატივა და იერიშით სძლია არნშტეინს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

თერმეტი ტურის შემდეგ 9 ქულით პირველ ადგილს მტკიცედ ინარჩუნებს საერთაშორისო ოსტატი შამკოვიჩი. 7,5 ქულით მეორე ადგილზეა გროსმაისტერი ხოლმოვი.

დღეს შედგება მეთორმეტე ტური.

ადგილობრივი პოლიტიკა

ამერიკელთა მეორე დამარცხება

რიო-დე-ჟანეიროში დიდი სპორტული პაექრობა არ ცხრება. აქ მიმდინარეობს მსოფლიო პირველობის გათამაშების დასკვნითი შეხვედრები კალათბურთში ეაკთა გუნდებისათვის.

მესამე ტურის შეხვედრებიდან საერთო ყურადღებას იპყრობდა ძველი მეტოქეების ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი.

ბრძოლა თავიდანვე შეუპოვარი იყო, უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. სპეციალისტთა აღიარებით ასეთი მატჩი ამ ჩემპიონატზე ჯერ არ ყოფილა, ამაზე მეტყველებდა თუნდაც ანგარიშები — 20:20, 40:40, 60:60.

უკანასკნელი წუთისათვის წინ იყვნენ ამერიკელები ერთი ქულით (74:73) და ბევრი გამარჯვებას მათ უწინასწარმეტყველებდა, მაგრამ აი თამაშის უკანასკნელი წამი, ივანოვის ტყორცნა და ბურთი მიზანს მოხვდა — 75:74, გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა.

მაღალტექნიკური თამაშით საბჭოთა კალათბურთელებიდან გამოირჩეოდნენ კორნეევი, პეტროვი, ვოინოვი.

ამრიგად, დაუმარცხებლად იბრძვიან სსრ კავშირის, ბრაზილიისა და იუგოსლავიის გუნდები.

რამდენიმე სტრიქონით

● **ბაკოზი** დამთავრდა აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდავეთის მძლეოსანთა კოლექტივების ასპარეზობა. თელ რგა სახეობაში ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. მაგალითად, თბილისელ ლმა დიაჩკოვმა აიუიდში 7.118 ქულა შეაგროვა. საერთო პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოს მძლეოსნებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ აზერბაიჯანელები, მესამეზე — მოლდავეთის გუნდი.

● **ბასულ** კვირადღეს მოსკოვში შედგა საერთაშორისო მატჩი ხელბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და შვეიცის ეაკთა ნაკრები გუნდები. საბჭოთა ხელბურთელებმა წარმატებით ჩატარეს შეჯიბრება და გამარჯვეს ანგარიშით 20:11. სსრ კავშირის ნაკრებში თბილისის „ბურევესტნიკიდან" შედიოდნენ ამაშენელი, ცერცვაძე, ანთაძე, ფხაკაძე.

● **დაიჩაკ** მოზარდ ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობა „იმედის თასზე". 19 მაისს თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე შედგა პირველი მატჩი საქართველოსა და აზერბაიჯანის გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩატარეს მეორე ტაიმი და გაიმარჯვეს 4:0.

● **გათამაშდა** მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის მეათე ეტაპი მარშრუტით პოზნანი-ზელენა (123 კილომეტრი). ამ ეტაპზე გამარჯვებული გამოვი და პოლონელი ი. ბეკერი. ათი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არის პოლონეთის გუნდი, პირად ჩათვლაში — ბელგიელი ვერჰაგენი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

21 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ტრავიატა, **რუსთაველის სახელობის** — ამირანი (პრემიერა. აბონ. გარეშე), **გრიბოედოვის სახელობის** — ეზოში, ავი ძალია (მე-9 აბონ. მე-9 სპექტ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 55, 6 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — პიანისტ ვიტოლდ მალუჟინსკის (არგენტინა) კონცერტი.

ყველა ვიზიტ

21 მაისი

12.00 — დოკუმენტური ფილმი „მაინც სპარტაკი", 12.20 — მხატვრული ფილმი „სდუმან მხოლოდ ქანდაკებები", 18.00 — დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „პიონერ სტუდიაში", 18.40 — მოსწავლეთათვის — კინონარკვევი „შეხვედრა პოსტულატის გამოცანა", 19.05 — გადაცემა ციკლიდან „ადამიანები და ღღეები", 19.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ვინ არის მათ შორის დამნაშავე", 19.35 — გადაცემა — თანამედროვე ქართველი პოეზიის ბიბლიოთეკიდან", 20.05 — ახალი ამბები, 20.20 — მხატვრული ფილმი „სდუმან მხოლოდ ქანდაკებები".

კინო

21 მაისი

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი) — გულწრფელი, **ოქტომბერი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი, დიდუბე** (საზამთრო), **კიროვის სახელობის პარკი** — საქმიანი ხალხი, **ფილარმონიის ბაღი** — მამა ვიყიდე, **ისანი** (საზაფხულო), **კომუნარების ბაღი** — კუბის ნოველა, **სპარტაკი, კოლხიდა** (საზამთრო), **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — შენი სიყვარულიც, **კომკავშირელი, საქართველო** (მწვანე დარბაზი) — გამყღვანებული შეხვედრის ადგილი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — სიყვარული სიმღერაში (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **თანამგზავრი, ვაკის პარკი** — ჯადოქრის ქალიშვილი, **კოსმოსი, საქართველო** (საზაფხულო) — დიდი ოლიმპიადა, **კოლხიდა** (საზაფხულო) — თავზეხელაღებული მძღოლები, **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — საზღვრის დამრღვევი, **ოფიცერთა სახლი, გაზაფხული** — ვასროოა კალინმანტანზე, **კოლმეურნე** — მეფის შვილები, **დიდუბე** (საზაფხულო) — ოქროს ეშელონი

ციფრული

22 მაისი

პირველი პროგრამით

06.40 — ა. კერესელიძე. საორკესტრო უვერტიურა. 08.25 — კონცერტი — „ჩვენი თვითმოქმედება", 10.30 — გადაცემა — „ჰიტის ახალგაზრდა პოეტები", 10.45 — ქართველ კომპოზიტორთა პიესები ალტისათვის, 11.15 — მოლდავური მუსიკა, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან—„მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — ნაწყვეტები ოპერებიდან, 13.40 — მუბუაძი მუსიკის კონცერტი. 17.15 — ფრაგმენტები დ. თორაძის ბალეტ „ეორდადან", 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ნარკვევი: „მეგობრები", 18.10 — „მღერის დავით გამრეკელი", 18.45 — გ. ოტსის კონცერტი, 19.30 — „გამოსვლები, შთაბეჭდილებები, აზრები, 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — გადაცემა — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — კონცერტი-სუბბარი — „რ. ვაგნერი" (გადაცემა მეორე), 22.00 — ნარკვევი: „ყვავის ციტრუსები", 23.30 — ქართული ქალაქური სიმღერები.

სიცოცხლის მომღერალი

იუზეათია ისეთი ადამიანი, რომელიც დიდი ფიზიკური ტრავმის შემდეგ სამუდამოდ სარეცელზე მიჯაჭვული იყოს და სულიერად არ დაეცეს, კლდესავით მაგარი და რვალივით მტკიცე დარჩეს. სწორედ ასეთი იყო ნიკოლოზ ოსტროვსკი. მისი გაუტეხელი შინაგანი ბუნება, რომელიც ზეადამიანური ძალით არის გადასული პავლე კორჩაგინში, განა ტიტანივით აღმართული არა დგას ჩვენს თვალწინ, და მერე როგორ?!

ალბათ ნიკოლოზ ოსტროვსკი ედგა თვალწინ დავით ჯიოევს იმ საბედისწერო წუთებში, როდესაც იგი დიდი კატასტროფის შემდეგ ბოსს მოვიდა, მაგრამ დამსხვრეული ხერხემლის, გულმკერდის [illegible] ნეკნების ძლიერი დაზიანების გამო ერთხელაც ვერ შეძლო სხეულის ოდნავ ამოძრავება.

ტრაგიკული ბედი ხვდა წილად ოსი ხალხის გამოჩენილ მწერალს — დავით ანტონოვიჩ-ძე ჯიოევს. მან სიკვდილი დაამარცხა და სიკვდილთან ბრძოლის პროცესში მწერლად და შემოქმედად იქცა. ახალი სიცოცხლე, ახალი ძალა შესძინა მას ორმა გარემოებამ. ერთი, ეს არის მისი შრომითი ცხოვრების ძალზე მოკლე, მაგრამ უაღრესად მდიდარი და მეტად საინტერესო გზა; მეორე, შრომითი ცხოვრების საფუძველზე გამომუშავებული მაღალიდეური, კომუნისტური რწმენა.

დავით ჯიოევი ზნაურის რაიონის სოფელ ცხინათის ღარიბი გლეხის შვილია. იგი ბავშვობიდანვე ფიზიკურ შრომას ეწეოდა. ბავშვობიდანვე სამწყემსურში დაიწყო მისი შრომითი ცხოვრება. შემდეგ თოხი აიღო ხელში და გუთანსაც მოეკიდა. თითქოს მიწის ძახილი ჩაესმა ყურში, ველ-მინდვრებსა და ყანებს დაუძმობილდა, იგრძნო მიწის წვენის ძალა, გლეხი ბიჭის ძარღვებში მშრომელი ადამიანის სისხლი აიუხიუხდა, შრომით გამაგრდა, გაკაჟდა და ყოველ-ეარი დაბრკოლების დაძლევის უნარი გამომუშავა. მერე კი, როცა სკოლაში შევიდა, წიგნსა და სწავლას დაეწაფა, ფიზიკური შრომა კიდევ უფრო სახალისო შეიქნა. კომკავშირელი გახდა, გულში გაუღვივდა კომუნისტური იდეისადმი რწმენა. ჭაბუკი მალე მომწიფდა გონებრივად და საკოლმეურნეო ცხოვრების ფერხულში ჩაება.

შემთხვევითი როდია, რომ იგი ჯერ კიდევ კომკავშირელი სოფლის თავკაცად ითვლებოდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ იყო არჩეული. იყო კომკავშირული, პარტიული ორგანიზაციების აქტიური მუშაკი.

კოლმეურნეობაში იყო თუ სკოლაში, კომუნისტურ სასწავლებელში თუ უმაღლეს სასწავლებელში, კომკავშირის კომიტეტის მდივნად, ყველგან მტკიცე კომუნისტად, მოწინავე ადამიანად გვევლინებოდა.

დავით ჯიოევის დაბადების 50 წლისთავი

ამას წინათ დუშეთის სარაიონო კულტურის სახლში გაიმართა თემატური საღამო, რომელიც მიეძღვნა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობის საკითხს. შესავალი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ალექსანდრ ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალ იდეურობისა და მაღალ მხატვრულობის ოსტატობის საკითხებზე საინტერესო მოხსენება წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა კრიტიკოსმა ბ. ულენტმა.

ვ. ხუციშვილი.

ახალი მინერალური წყლები

კავკასიის მინერალური წყლების რაიონში ასზე მეტი წყაროა. მათს საერთო მარაგს დღეღამეში ექვს მილიონ ლიტრს ანგარიშობენ. ზოგიერთი ტიპის მინერალურმა წყლებმა, კერძოდ კისლოვოდსკის ნარზანმა, დიდი ხანია მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი.

საბჭოთა ჰიდროგეოლოგები ახალი სამკურნალო წყაროების ძებნას განაგრძობენ. პიატიგორსკის კურორტი გამდიდრდა მინერალური წყლით, რომელსაც „მაშუკი" უწოდეს. ამ ლეგენდარული მთის ძირას ახლა 41 წყარო მოქმედებს.

ახალი მინერალური წყლები კლინიკურად შეამოწმეს. მათ სამკურნალო მიზნებით იყენებენ, აგრეთვე სასმელად ბოთლებში ჩამოსხმასაც აწარმოებენ.

პიატიგორსკში მიწისქვეშა წყაროების კიდევ ერთი „საწყობი" აღმოაჩინეს. წყაროები წელს ამოქმედდა, ამიტომ წყალს, რომელიც ნარზანის მსგავსია, ჯერ სახელწოდება არ მიუღია. მისი მარაგი საკმაოდ დიდია — ორი მილიონი ლიტრი დღეღამეში!

ექიმებისა და ავადმყოფების აღიარება ჰპოვა „ესენტუკის" ტიპის მინერალიან-ტუტიანმა წყალმაც, რომელიც ქალაქ ჟელეზნოვოდსკში აღმოაჩინეს.

— ახალი მინერალური წყლები აფართოებს კავკასიის კურორტის სამკურნალო პროფილს, — აცნობა საკავშირო „ახალი ამბების" კორესპონდენტს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის პიატიგორსკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროგეოლოგმა ანატოლი იოდალსკიმ. — მინერალური წყლების გამოკვლეული მარაგი სავსებით საკმარისია ჩვენი ჯანმრთელობის კერის განვითარების 20-წლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. მინერალური წყლების ჯგუფის კურორტის გაფართოების ეს პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს სამკურნალო აბაზანების რაოდენობის გადიდებას 3.720-ით. ჩვენთან ყოველწლიურად იმკურნალებს მილიონზე მეტი კაცი, ანუ 3,5-ჯერ მეტი, ვიდრე ამჟამად.

პეტრე იაშჩენკო,
საკავშირო „ახალი ამბების" კორესპონდენტი.

„ყინულის დათვი" გაცოცხლდა

ხორგბი. (ტაჯიკეთის სსრ). 18 მაისი. (საკ. ახ. კორ.). რამდენიმე ათეული მეტრი სიმაღლის ყინულის კედელი ნელა და მკაცრად მიიწევს წინ ახლა მდინარე ვანჩის სათავის ქვის კალაპოტით პამირის მთებში 50 მეტრის სიჩქარით დღე-ღამეში. მსოფლიო გლაციოლოგიას არ ახსოვს ყინულის მასების ასეთი გადაადგილება.

— ყინულის დათვის — მსოფლიოში უდიდესი ფედჩენკოს მყინვარის სისტემის ერთ-ერთი განტოტების ინტენსიური მოძრაობა 5 დღის წინათ დაიწყო 4,5 ათასი მეტრი სიმაღლიდან (ზღვის დონიდან), — აცნობა საკ. ახ. კორესპონდენტს ტაჯიკეთის სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ხელმძღვანელმა ვ. ი. ფედოროვმა. — ამის მიზეზი გახდა უხვი და კოკისპირული წვიმები, რაც ამას წინათ იყო პამირში, რომლებმაც ხელი შეუწყეს მყინვარის ძირის დნობას და ზემო ნაწილის მოკვეთას. მას შემდეგ იგი უკვე კილომეტრნახევრით გადაადგილდა.

გაცოცხლებულმა „ყინულის დათვმა" გზა გადაუღობა მდინარე ვანჩის საკმაოდ წყალუხვ შენაკადებს. ეს ქმნის საშიშროებას, რადგან ყინულის სწრაფი დნობის დროს ქვემოთ, ხეობაში, შეიძლება შეიქრას წყლის დიდი მასა. ახლომდებარე ყიშლაყების მოსახლეობა ევაკუირებულია.

დღეს სპეციალური რეისით დუშანბედან პამირში ჩავიდა ტაჯიკ სპეციალისტთა — ჰიდროლოგთა და გლაციოლოგთა ჯგუფი, რომელმაც უნდა შეისწავლოს მყინვარის მოძრაობის ხასიათი, შეიმუშაოს გამაფრთხილებელი ღონისძიებანი.

მღერის ანსამბლი „დრუჟბა"

პიკასოს ცნობილი ნახატი მშვიდობის მტრედი, ზეთისხილის რტო, ადამიანის სახის ანტიკური ნაკვთები... ფერების საუცხოო გამა... რიტმები... ციკვავენ თეთრკანიანები, ზანგები, ყვითელკანიანები... სამეგობროდ გადაჭიმობილან ძლიერი ხელები...

სცენაზეა ლენინგრადის ახალგაზრდული საესტრადო ანსამბლი „დრუჟბა"... სრულდება პოპულარული ინსცენირება „მშვიდობისათვის".

გრაფიკულად გამოკვეთილია ალ. ბრონევიცკის „ბალადა მეთევზეებზე" — ეს სულით ძლიერ ადამიანთა სადიდებელი ჰიმნია. ანსამბლის მშვენებაა ცნობილი საესტრადო მომღერალი ქალი ედიტა პიეხა. გ. პორტნოვის მუსიკა და პიეხას მომჭადოებელი ხმა აცოცხლებს ლენინგრადის თეთრ ღამეებს, წვიმას მშობლიურ ქალაქში. პიეხა უმღერის სიყვარულს, სიცოცხლეს, ბედნიერებას...

არ შეიძლება არ დაგამახსოვრდეთ ფრანგი კომპოზიტორის ლემარკის „პატარა ხარაზი" და შვედური სიმღერა „ჩინ-ჩინ-ჩინი", იტალიელი კომპოზიტორის მარინო მარინის „სიყვარული, სიყვარული" და საბჭოთა კომპოზიტორის ფცემანის „14 წუთი კოსმოსში გაფრენამდე", რომლებსაც მაღალი ოსტატობით ასრულებს ანსამბლი „დრუჟბა".

სოლისტი ბ. პისარევი გბიძლავთ „სიმღერით შეგობრობაზე" კინოფილმიდან „გზა ნავსადგურისაკენ". ცნობილი ნეაპოლიტანური სიმღერა „დაბრუნდი სორენტოში" ახლებურად ეღერს მ. ბაკერკინის შესრულებით.

ანსამბლის ახალი პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ვ. თბილელი.

სურათზე: საესტრადო ანსამბლი „დრუჟბა". მღერის სოლისტი ედიტა პიეხა.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ცხოვრების ნაძირალა

სასამართლოს დარგაზიდან

სიზარმაცე, ლოთობა და უსაქმურობა დანაშაულის ჩადენის დედაა.

დღე არ გავიდოდა, რომ არ დამთვრალიყო, მეზობლებისათვის, ნაცნობებისათვის, გამვლელ-გამომვლელებისათვის ჩხუბი არ ეეტეხა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში მცხოვრებ ეორა, ივანეს ტარიელ ილოს-ძე საჩიჩელაშვილს.

ბავშვობა სიზარმაცესა და უსაქმურობაში გაატარა. როცა მოეხასიათებოდა, სკოლაში მაინც წავიდოდა. საშინაო დავალებებს, გაკვეთილებს არ ამზადებდა. საკლასო ეურნალში მისი გვარის გასწვრივ ორიანები იყო ჩაწერილი. ჯგუფში ხშირად რჩებოდა. როგორც იქნა, მეცხრე კლასამდე მიაღწია. გაიფერა, ესეც საკმარისიაო, და სწავლას თავი მიანება.

საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურმა მოუწია. ჯარი ხომ ცხოვრების დიდი სკოლაა, ადამიანის ვამაკეთილშობილებელია.

— ახლა მაინც ისწავლის ჭკუას, — ამბობდნენ მეზობლები. — დადინჯებული, დაჭკვიანებული დაბრუნდება. ოჯახსაც გამოადგება და სოფელსაც.

გაუცრუვდათ იმედი თანასოფლელებს. სამხედრო ნაწილიდან, სადაც ტ. საჩიჩელაშვილი მსახურობდა, ხშირად მოდიოდა წერილები სოფელ კარდანახში მშობლებისა და კოლმეურნეობის გამგეობის სახელზე ოფიცრებისაგან, ჯარისკაცებისაგან, ტარიელ გამოუსწორებელი ხარმაცი, უხეში, აყალმაყალის ამტეხი და უსულგულო ადამიანია, ჰაუპტვახტის მუდმივი ბინადარიაო.

დიდი ვაიგაგლახით მოილია ტარიელ საჩიჩელაშვილი. ... [illegible] ... ბოლოს მან მესამე ადგილი დაიკავა და დათვრა. საღამოთი დაბრუნდა სოფელში. კინოში შეიარა. საკბილო ვერაფერი ნახა და კარის მეზობელ ნ. ყ-ის სახლისაკენ გაემართა. სოფელ კარდანახში ნ-ს იცნობდნენ როგორც მშრომელ, პატიოსან ოჯახის ქალს. ქმარი დიდ სამამულო ომში დაეღუპა. მარტოხელა ქალმა გაჭირვებით გაზარდა სამი ქალიშვილი, სწავლა დაამთავრებინა, დაოჯახა. [illegible] ... ბაიჯანის გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩატარეს მეორე ტაიმი და გაიმარჯვეს 4 : 0.

● **ბათამაშდა** მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის მეათე ეტაპი მარშრუტით პოზნანი-ზელენა (123 კილომეტრი). ამ ეტაპზე გამარჯვებული გამოვი და პოლონელი ი. ბეკერი. ათი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არის პოლონეთის გუნდი, პირად ჩათვლაში — ბელგიელი ვერჰაგენი.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ვარდოსანიძე.

Комунисти
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 8-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 8-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 8-82-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილ ების — 9-73-24, ხალუსტრაციო — 8-20-48, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

УЭ 00688

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.